ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

თეონა მაისურაძე

ურბანული სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი უთანასწორობა ქალაქ თბილისის მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა, საზოგადოებრივი
გეოგრაფიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ქალაქების, როგორც მოსახლეობის მიზიდვის არეალების, არსებობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვინაიდან აქ წარმოდგენილია მეტი შესაძლებლობა, მრავალფეროვანი სამუშაო ადგილები, საგანმანათლებლო და კულტურული ობიექტები, გასართობი დაწესებულებები და ა.შ. თუმცა სწორედ ქალაქები წარმოადგენენ უმუშევრობის, კრიმინალის, ეკონომიკური და სოციალურ-სივრცითი უთანასწორობის წყაროებს.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ამავე საუკუნის 80-90-იან წლებამდე საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოსახლეობა მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში ცხოვრობდა, რისი მიზეზიც იყო არსებული გეგმიური ეკონომიკა და სახელმწიფოს ცენტრალიზებული კონტროლი თითქმის ყველა სფეროში, იქნებოდა ეს ქალაქგეგმარება და ბინათმშენებლობა, საბინაო განაწილება, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თუ ეკონომიკური სარგებლის დისტრიბუცია.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის დაშლისა და გაბატონებული გეგმიური ეკონომიკის კრახის შედეგად, აშკარა გახდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, მათი დიფერენციაცია საცხოვრებლისა და ცხოვრების დონის მიხედვით. გაიზარდა უმუშევრობის დონეც, რაც საბჭოთა კავშირის პერიოდში პრაქტიკულად შეუმჩნეველი იყო. შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში თვალშისაცემი გახდა მოსახლეობის მზარდი სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია. გარკვეულწილად ეს სურათი ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმაც გამოიწვია, რისი აუცილებლობაც ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლამ წარმოშვა.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან, მკვლევარებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის სივრცითი გამოხატულებისა და ამ პროცესის სოციალური ღირებულებების შესწავლას. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მიმდინარეობას დისკუსია თუ რა არის და როგორ უნდა განისაზღვროს „უთანასწორობის“ ცნება, რაზე უნდა მოხდეს ფოკუსირება - შემოსავლების უთანასწორობაზე, ქონების უთანასწორობაზე თუ ორივეზე ერთად. თუმცა კონსესუსია იმის თაობაზე, რომ აღნიშნული უთანასწორობა მზარდი გახდა 1970-იანი წლებიდან და კვლავაც გრძელდება.

სწორედ უთანასწორობა (ქალაქის ნაკლებად მიმზიდველ სამეზობლოებში კონცენტრირებულ სიღარიბესთან ერთად) არის ქალაქის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციის ძირეული წარმომქმნელი ფაქტორი. თუმცა სეგრეგაციაზე ასევე გავლენას შეიძლება ახდენდეს ინდივიდის ეთნიკური კუთვნილება, პროფესიული საქმიანობა, ასაკი და განათლების დონეც კი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვა აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოს ეკონომიკაც აღმოჩნდა სტრუქტურული პრობლემების წინაშე, გაიზარდა ეკონომიკური უთანასწორობა და უმუშევრობის დონე. საჭირო გახდა ძირეული რეფორმების გატარება ეკონომიკის ყველა სფეროში, დაიწყო მასობრივი პრივატიზაცია, შეიცვალა საკუთრების ფორმები. სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები მოსახლეობის სოციო-სივრცით სტრუქტურაზეც იქონიებდა გავლენას. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ მახასიათებლების გამოკვეთას შევეცდებით.

Abstract

The goal of this master's thesis is to assess spatial peculiarities of social inequality in Tbilisi and explain their potential reasons. I analyze key quantitative characteristics of population segregation through the lens of the theoretical concepts on post-Socialist cities.

Thoughout the 20th century, urban population of Eastern Europe lived in more or less equal conditions, because of the existing planned economy and centralized control of the state in virtually all areas, including urban planning, housing provision, public healthcare, or distribution of economic benefit.

As the the Soviet Union collapsed and the planned economy became obsolete in the early 1990s, socio-economic inequalities become apparent, especially in relation with the quality of life. The rate of unemployment also increased in difference with the Soviet Union, where unemployment was almost non-existent. As the result, social and economic segregation of Eastern Europe's urban population also became prevalent. Neoliberal economic transformations had its share in the formation of such patterns, as it guided free market reforms in the post-Socialist countries.

From the beginning of our century, researchers paid great attention to the spatial expression of socialism from the transition to capitalism and the study of the social values of this process. Despite the debate in scientific literature, what is and how to define the notion of general ''inequality", what should focus on, inequality of incomes, inequality, or both. However, the consensus is that inequality has grown since the 1970s and still going on.

The inequality exactly (along with the poverty concentrated in the less attractive neighbourhoods of the city) is the key sfactor for the socio-economic segregation of the city's population. However, segregation may also affect ethnic belonging, professional activity, age and education level of an individual.

After the collapse of the Soviet Union, like other Eastern European states, the economy of Georgia was in the face of structural problems, increased economic inequality and unemployment. It was necessary to carry out major reforms in all spheres of economy, mass privatization, changing forms of property, and the social structures of the population changed.

The purpose of this work is to determine the level of socio-economic segregation in Tbilisi based on empirical data and identify the factors influencing the segregation.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო 10

1.1 ურბანული პოლიტიკის მნიშვნელობა 19

თავი II. პოსტ-სოციალისტური ეპოქა საქართველოში 21

2.1 ეკონომიკის ტრანსფორმაცია 21

2.2 თბილისი, როგორც პოსტ-სოციალისტური ქალაქი 23

თავი III. სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია თბილისში 28

3.1 სტატისტიკური მონაცემები და კვლევის მეთოდოლოგია 28

3.2 კვლევისშედეგები 30

დასკვნა 40

გამოყენებული ლიერატურა 43

შესავალი

უკანასკნელი სამი ათწლეულის ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა უთანასწორობის მასშტაბი აღმოასვლეთ ევროპული ქვეყნების ქალაქებში და დააჩქარა განსხვავებული ცხოვრების პირობების ჩამოყალიბების პროცესი სოციალურ ჯგუფებსა და შიდა საქალაქო რაიონებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო ჩქარი ტემპით წარიმართა სოციალური პოლარიზაციისა და მისი სივრცითი გამოვლინების პროცესი პოსტ-სოციალისტურ სივრცეში (Anderson&VanKempen), რაც საბჭოთა კავშირის ნგრევისა და სოციალიზმის წარუმატებლობის შედეგი აღმოჩნა.

მეცნიერები 21-ე საუკუნეში აქტიურად შეისწავლიან სახელმწიფო სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის სივრცით გამოხატულებასა და ამ პროცესის სოციალურ ღირებულებებს. ფართოდ გავრცელებული აზრით, სახელმწიფო სოციალიზმის დასასრულმა მოიტანა თამაშის წესების ცვლილება აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც საერთაშორისო სუბსიდირების წყალობით დაიწყო ნეოლიბერალური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. ამ რეფორმების შედეგად, მთლიანად რეგიონში გაიზარდა უმუშევრობის დონე, რაც სოციალიზმის პირობებში პრაქტიკულად შეუმჩნეველი იყო, ასევე მზარდი გახდა უთანასწორობა სოციალური და ფულადი შემოსავლების კუთხით, თუმცა განსაკუთრებით თვალშისაცემი აღმოჩნდა სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი სეგრეგაციის გაზრდილი მაჩვენებლები (CHELCEA, 2014).

პოსტ-სოციალისტური პერიოდის ეკონომიკურმა გარდაქმნება გამოიწვია სიმდიდრისა და სიღარიბის სპეციფიური სივრცითი განაწილება და შედეგად შეიქმნა განსხვავებული სივრცითი დაყოფა. ეს უკავშირდებოდა არა მხოლოდ გეოგრაფიულ, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებსაც. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სივრცითი უთანასწორობა არ გულისხმობს მხოლოდ არსებულ რესურსებზე არათანაბარ წვდომას, იგი მოიცავს სოციალურ უთანასწორობას ასაკის ან ეთნიკური ნიშნის მიხედვით,

ეკონომიკურ უთანასწორობას - შემოსავლების, სიმდიდრის, შესაძლებლობის მიხედვით და რა თქმა უნდა, ურბანულ უთანასწორობას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დავადგინოთ - როგორ განვითარდა თბილისი, როგორც პოსტ-სოციალისტური ქალაქი, რა მსგავსებას ან განსხვავებას ავლენდა ეს პროცესი აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქალაქებში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში; საინტერესოა აგრეთვე როგორი მდგომარეობაა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობისა და ჰომოგენურობის თვალსაზრისით და აღინიშნება თუ არა სეგრეგაცია ეკონომიკური, ეთნიკური ან რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით; ვეცდები გამოვავლინო რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსახლეობის სივრცით განაწილებაზე და რა აყალიბებს ცალკეულ უბნებს პრესტიჟულ საცხოვრებელ რაიონებად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის პირველ ნაწილში საუბარია იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე, რომელიც სოციალისტურმა რეჟიმმა დაუტოვა აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებს. უფრო კონკრეტულად კი განხილულია სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა და მისი სივრცითი გამოხატულების აღმოსავლეთ ევროპული გამოცდილება. აგრეთვე გამოკვეთილია ის ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ამ უკანასკნელის საფუძველს და წარმოჩენილია ურბანული პოლიტიკის როლი, ქალაქების ფორმირებასა და სწორ სოციალურ-სივრცითი ფუნქციონირებაში.

მეორე ნაწილში განხილულია ეკონომიკის ტრანსფრომაცია პოსტ-სოციალისტურ საქართველოში, ის სტრუქტურული პრობლემები და აუცილებელი რეფორმები, რისი აუცილებლობაც წარმოშვა ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ; წარმოდგენილია რა სიძნელეები გამოიკვეთა გარდაქმნების გზაზე და როგორ აისახა ეს ცვლილებები საქალაქო მოსახლეობის პროფესიულ სტრუქტურასა და ცხოვრების დონეზე. ასევე განხილულია ქალაქის განაშენიანების სოციალისტური პრაქტიკა და მემკვიდრეობა, სად და როგორ შენდებოდა

საცხოვრისები და ვის უნდა ეცხოვრა იქ; რა ფაქტორები განაპირობებდა ამა თუ იმ უბნის პრესტიჟის ზრდას და დანარჩენი რაიონების ნაკლებად მიმზიდველად ფორმირებას.

მესამე ნაწილში კი, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, განვიხილავთ თბილისის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სოციალურ-პროფესიულ და ეთნიკურ შემადგენლობას. შევეცდებით დავადგინოთ რა კავშირშია ეთნიკური კუთვნილება, განათლების დონე, შემოსავლები და პროფესიული სტრუქტურა სეგრეგაციის დონესთან. ძირითად მიზანს კი წარმოადგენს განვსაზღვროთ სოციალურ-პროფესიული ჯგუფების სივრცითი განაწილების ზოგადი ტენდენციები და გავზომოთ შესაძლო სეგრეგაციის დონე.

და ბოლოს, დასკვნის სახით წარმოგიდგენთ თბილისში არსებული სიტუაციის შეფასებას, აქვს თუ არა ადგილი პოლარიზაციას სოციალურ-პროფესიული ნიშნით და აღინიშნა თუ არა სეგრეგაციის ის დონე, როგორიც ნავარაუდები იყო; ასევე შევაფასებთ რამდენად დადებითი ან უარყოფითი შეიძლება არმოჩნდეს აღნიშნული პროცესები ქალაქის სივრცითი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალიზმის პირობებში შემოსავლების განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო, ეკონომიკური უთანასწორობის დონე კი საკმაოდ დაბალი (Szymon Marcińczak, 2014). ამის მიზეზს წარმოადგენდა ძირითადად მარქსისა და ლენინის დოქტრინებზე დაფუძნებულ ქალაქის დაგეგმარების სოციალისტურ პრინციპებს. ეს გულისხმობდა: საცხორვისების სახელმწიფო კონტროლს, რაც უმნიშვნელოვანეს საკითხად იქნა მიჩნეული მოსახლეობის თანასწორობისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის კუთხით; საცხოვრებელი არეალების გეგმიურ განვითარებას, რაც მოიცავდა მსხვილი საცხოვრებელი ბლოკების კონცეფციას და ყველა ყოველდღიური საჭიროების ფეხით სავალ მანძილზე განლაგებას; ასევე სამუშაო ადგილამდე მარტივ მიღწევადობას, აუთვისებელ მწვანე სივრცეებს, მიწის გამოყენების მკაცრ ზონირებას და ა.შ. (Pacione, 2009)

სახელმწიფო სოციალიზმის პირობებში საქალაქო მიწების და საცხოვრისის ბაზრები არ არსებობდა, საბინაო ფონდი თითქმის მთლიანად სახელწმიფოს საკუთრებაში იყო, რომლის მესვეურებიც ზღუდავდნენ მოსახლეობის მობილობას. სოციალისტური ქალაქების სივრცითი თავისებურება, როგორც წესი, იყო სამოსახლო ტერიტორიების შედარებით მაღალი სიმჭიდროვე ქალაქის ცენტრთან სიახლოვეს, მის მიმდებარედ კი დაბალი სიმჭიდროვის დასახლების ზოლის არსებობა, სადაც მრეწველობა იყო წარმოდგენილი, რაც მიუღებელი იყო დასავლური საზოგადოებებისათვის. ბოლოს კი ზოლი, გაზრდილი სიმჭიდროვით პერიფერიებზე, სტანდარტული დიზაინით აშენებული მრავალსართულიანი ბინების. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას კაპიტალისტური ქალაქებისგან წარმოადგენდა ის, რომ სოციალისტური ქალაქების სამოსახლო უბნებსა და კვარტლებში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა სოციალური კლასის, პროფესიის, ასაკისა და ეთნიკური კუთვნილების მქონე ადამიანები. (Pacione, 2009)

სამეცნიერო ლიტერატურაში კონსესუსია იმის თაობაზე, რომ სოციალისტური ქალაქგეგმარების პრინციპების და საცხოვრისების ადმინისტრაციული ალოკაციის წყალობით, სოციალისტური ქალაქები იყო ნაკლებად სეგრეგირებული სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით და მეტად ჰომოგენური სივრცითი თვალსაზრისით, კაპიტალისტურ ქალაქებთან შედარებით. სოციალისტურ რეალობაში სივრცით სეგრეგაციას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, გაცილებით მნიშვნელოვანად მიიჩნეოდა ხელმისაწვდომობა მუდმივი დეფიციტის პირობებში არსებულ საცხოვრებელ ფონდზე. სოციალისტურმა სისტემამ შეიმუშავა მთავარი მექანიზმების, რის საფუძველზეც ახდენდა მოსახლეობის დაბინავებას ამა თუ იმ საცხოვრებელ არეალში. ამის გამო, ხშირად ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ ეკონომიკური და/ან ეთნიკური ნიშნით განსხვავებული ადამიანები. (Szymon Marcińczak, 2014)

სოციალიზმის დასასრულს 1980-იან წლების ბოლოს, თან სდევდა სწრაფი და არსებითი ზრდა შემოსავლების უთანასწორო განაწილებაში, მნიშვნელოვანი გნსხვავება გაჩნდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. იყო მცდელობები სივრცითი სეგრეგაციისა და პოლარიზაციის ნაცვლად, შექმნილიყო შერეული სამეზობლოები სოციალურ-სივრცითი თვალსაზრისით (Szymon Marcińczak, 2014). თვალსაჩინო გახდა ისეთი კაპიტალისტური ტენდენციები, როგორებიცაა სუბურბანიზაცია და კონტრურბანიზაცია, ჯენტრიფიკაცია საქალაქო რეგენერაცია, „ჩაკეტილი“ (Gated) თემების გავრცელება და სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება სოციალური დიფერენციაცია საცხოვრებლისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით. (Pacione, 2009)

სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია წარმოადგენს სოციალურ-პროფესიული ჯგუფების და შემოსავლების არათანაბარ სივრცით განაწილებას, მათი დიდი რაოდენობით კონცენტრაციას კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებში, რის მიზესაფუძველსაც ქმნის ეკონომიკური უთანასწორობა. თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორებიცაა ინდივიდების შეღავათები, საცხოვრისების სასაქონლოდ გარდაქმნის დონე, სახელმწიფოს ჩარევის ზომა და ქალაქის სხვა მახასიათებლები,

რომლებიც განაპირობებენ ისტორულად ჩამოყალიბებულ ფუნქციური პროფილის ცვლილებას და სოციალურ-ეკონომიკურ შემადგენლობას ((Szymon Marcińczak, 2014). მოკლედ რომ ვთქვათ - სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია არის ნაყოფი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის და ამ უკანასკნელის ზრდასთან ერთად იზრდება სეგრეგაციის დონეც. თუმცა არც თუ იშვიათად მოსახლეობის დაყოფას შესაძლოა ჰქონდეს ეთნიკური ან რელიგიური ხასიათი. (ZOLTAN KOVACS, 2013)

მიუხედავად გლობალიზაციისა და პოსტ-ფორდისტული ეკონომიკური გარდაქმნების უდავო და ყოვლისმომცველი გავლენისა მზარდ ეკონომიკურ უთანასწორობაზე, რეალური სივრცითი ეფექტი ქალაქებსა და მის უბნებში დიდწილადაა დამოკიდებული ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ ფაქტორებზე (Szymon Marcińczak, 2014).

დღეს, დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესწავლას, როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ და სახელმწიფოებრივ დონეებზე. მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, თუ რა არის და როგორ უნდა განისაზღვროს უთანასწორობა, რაზე უნდა მოხდეს ფოკუსირება - შემოსავლების უთანასწორობაზე, ქონების უთანასწორობაზე თუ ორივეზე ერთად. თუმცა კონსესუსია იმის თაობაზე, რომ სოციალური უთანასწორობა 1970-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპულ ქალაქებში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მდიდარი გახდა კიდევ უფრო მდიდარი, ღარიბი - კიდევ უფრო ღარიბი. სახელმწიფოს პოლიტიკა და არსებული ინსტიტუციები არ აღმოჩნდა ეფექტური აღნიშნული უფსკრულის (გეფ) აღმოსაფხვრელად. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 2008 წლის ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო და შემდეგ გლობალური მასშტაბი შეიძინა. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეს ყველაფერი წარმოშობს საზოგადოებრივი მღელვარების, კრიმინალის დონის ზრდისა და სოციალურ ჯგუფებს შორის ნდობის შემცირების საფრთხეს (Tammaru, 2015).

როგორც უკვე აღვნიშნე, სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციას წარმოშობს მრავალი ფაქტორის კომბინაცია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან საზომად მკვლევარები მიიჩნევენ შემოსავლების უთანასწორობას და სიღარიბეს, რომელიც როგორც წესი, კონცენტრირებულია ქალაქის გარეუბნებში ან სხვა ნაკლებად მიმზიდველ უბნებში და მოწყვეტილია დანარჩენი ქალაქისგან. მსგავსი სივრცითი გამოყოფა ახასიათებს ასევე მაღალ სოციალურ სტრატას, რომლებიც თავიანთი ნებით გამოყოფენ თავს დანარჩენი საზოგადოებისგან და კონცენტრირდებიან მაღალი საშუალო კლასის (Upper middle class) ანკლავებში. უფრო მეტიც, მაღალი შემოსავლების მქონე ფენა უფრო სეგრეგირებულია, რადგან მათ აქვთ მეტი შესაძლებლობა საცხოვრებელი ადგილის არჩევისას (Tammaru, 2015).

ლიტერატურაში გამოიყოფა 4 ძირითადი ფაქტორი, რაც წარმოქმნის სოციალურ-ეკონომიკურ სეგრეგაციას და რომელთა ურთიერთკავშირი განსხვავებულია ქალლაქებისა და ქვეყნების კონტექსტში:

- შემოსავლების უთანასწორობა;
- კეთილდღეობის რეჟიმები და საბინაო სისტემები;
- ეკონომიკური სტრუქტურების ცვლილება;
- გლობალური დაკავშირებულობის დონე.

ამ 4 ფაქტორის ურთიეთქმედება კომპლექსურია და ერთმანეთზე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. საუბარი დავიწყოთ კეთილდღეობისა და საბინაო სისტემების გავლენით სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობაზე.

კეთილდღეობის სისტემებს (Welfare System) ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, მასზე მოსაზრებები ჯერ კიდევ მარქსიზმსა და კეინზიანიზმში არსებობდა, თუმცა ისტორიაზე აღარ შევჩერდები და პირდაპირ გადავალ იმ საკითხზე, თუ როგორ განიხილავს მას ეკონომიკა. (შატბერაშვილი, 2016)

1970-იანი წლებიდან ნეოლიბერალურმა ეკონომიკამ გადააფასა კეთილდღეობის სისტემის არსი და მნიშვნელობა, ანუ განსაზღვრა რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანთა კეთილდღეობას და არსებული რესურსების ოპტიმალურ განაწილებას შორის, ასევე ის პრიორიტეტები, რაც კეთილდღეობის პოლიტიკას გააჩნდა სახელმწიფოს რესურსების განკარგვისას (შატბერაშვილი, 2016) .

ზოგადად, სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა მიმართულია ისეთი პრობლემების მოგვარებისკენ, როგორებიცაა სიღარიბე, ეკონომიკური უთანასწორობა და უმუშევრობა. აღნიშნული პოლიტიკის წარმატების ყველაზე პოპულარული საზომად კი ითვლება ე.წ. *„პარეტოს ეფექტიანობა“*, რაც გულისხმობს საქონლის და შემოსავლების მაქსიმალურად თანაბარ გადანაწილებას, ძირითადი აზრი კი მდგომარეობს შემდეგში: კეთილდღეობის სისტემის წარმატებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც ისე გაზრდის საზოგადოების რომელიმე წევრის კეთილდღეობას, რომ არავისმა დაიკლოს. მიიჩნევა, რომ კეთილდღეობის სისტემებთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუციები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობისა და სოციალური პოლარიზაციის შემცირებას (შატბერაშვილი, 2016).

კეთილდღეობის სისტემა და მისი მახასიათებლები ძლიერ ზეგავლენას ახდენს სეგრეგაციის დონეზე, მან შესაძლოა ბიძგი მისცეს ან პირიქით, შეასუსტოს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სად და რა დოზით ერევა სახელმწიფო ისეთ საკითხებში, როგორებიცაა შემოსავლების განაწილება, ჯანდაცვის სისტემა, სოციალური დაცულობა, განათლება და საბინაო უზრუნველყოფა. შემოსავლების რედისტრიბუციიის დონე, სერვისების ხელმისაწვდომობა, სოციალური ბენეფიტები და საბინაო უზრუნველყოფა გავლენას ახდენს სოციალურ უთანასწორობაზე, მის სივრცით გამოხატულებასა და მიმართულებაზე. ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი ზრუნვა საბინაო უზრუნველყოფაზე, ღარიბებზე, სერვისები ხელმიმსაწვდომობაზე, შეამცირებს სოციალურ და სივრცით უთანასწორობას. ევროპა კვლავ ხასიათდება ძლიერი, თუმცა შემცირების პროცესში მყოფი, სახელმწიფო ჩარევითა და რედისტრიბუციის

პრაქტიკით, მაგრამ ეს სურათი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. (Tammaru, 2015)

შემოსავლების უთანასწორობამ აღმოსავლეთ ევროპაში ზრდა დაიწყო 1990-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც კრახი განიცადა სოციალიზმმა და დაიშალა საბჭოთა კავშირი. გლობალიზაციისა და ნეოლიბერალიზაციის პროცესებმა, რაც თან ახლდა ეკონომიკის ცენტრალური დაგეგმვიდან თავისუფალ ბაზარზე გადსვლას, მნიშვნელოვნად შეამცირა მშპ ერთ სულ მოსახლეზე უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებში და სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობა. (Tammaru, 2015)

ეკონომიკურ სეგრეგაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ წარმოების ფორდისტულიდან პოსტ-ფორდისტულ ეპოქაზე გადასვლა, არამედ ფართო საერთაშორისო დაკავშირებულობის დონე, რაც მოითხოვს მაღალკვალიფიციურ მუშახელს და გაუმჯობესებულ ეკონომიკას. შედეგად კი, ადგილობრივი ეკონომიკები, სადაც დომინირებს მომსხურების სექტორი, ქალაქებისათვის იძლევა იმპულსს და იწვევს პროფესიული სტრუქტურის ტრანსოფრმაციას, ზრდის უთანასწორობას ეგალიტარულ ქვეყნებშიც კი. ახალი პროფესიულიი სტრუქტურა კი, თავის მხრივ, ქმნის ახალ სივრცით დაყოფას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია შესაძლოა გახდეს სოციალური პოლარიზაციის მიზეზი ქალაქებში, განსაკუთრებით ისეთ ქალაქებში, რომლებიც „გლობალურ“ ქალაქებად იწოდებიან. Burgess & Musterd ამტკიცებდნენ, რომ კეთილდღეობის რეჟიმები შესაძლოა კიდევ უფრო აძლიერებდნენ ამ პროცესს, ასევე ძლიერი საერთაშორისო კავშირები, კომბინირებული მზარდ მომსახურების სექტორთან და მაღალ კონკურენტულ გარემოსთან, ზრდის სოციალურ პოლარიზაციას, ძლიერ კეთილდღეობის ქვეყნებშიც კი. თუმცა მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს არა სოციალურ პოლარიზაციას, არამედ პროფესიონალიზაციას, რასაც დადებით პროცესად მიიჩნევენ, ვინაიდან მაღალანაზღაურებადი, კვალიფიციური მუშაკები თავადაც

საჭიროებენ მომსახურებას და ეს უამრავ სამუშაო ადგილს წარმოქმნის შედარებით დაბალკვალიფიციური მუშაკებისთვის. (Sassen 1991)

საბინაო სისტემა მჭიდრო კავშირში იმყოფება კეთილდღეობის რეჟიმებთან. ზოგადად, საბინაო პოლიტიკის მთავარი მიზანია, ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა საცხოვრებელზე. თუმცა პრობლემაც სწორედ აქ იჩენს თავს, ყველა ადამიანს მაინც არ გააჩნია შესაძლებლობა რომ იყიდოს, ან დაიქირავოს სახლი. მნიშვნელოვანია ბინადრობის ძირითადი სახეები (Walsh at all 2005):

- საკუთრებაში ფლობა - ინდივიდი/ოჯახი ერთიანი გადახდის ან კრედიტის საშუალებით ყიდულობს სახლს ან ბინას. საკუთრებაში ფლობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია აგრარულ საზოგადოებებში, რადგან თაობიდან თაობას გადაეცემა საცხოვრებელი;
- ქირით ცხოვრება - ინდივიდი/ოჯახი კერძო მესაკუთრისგან ქირაობს ბინას. ურბანიზაციის ზრდასთან ერთად ქირავნობის პრაქტიკა იზრდება და ქალაქებში მიღებულ ფორმას წარმოადგენს;
- სოციალური საცხოვრისი - ინდივიდი/ოჯახი ქირაობს ბინას ისეთ საცხოვრებელში, რომლის მშენებლობაც სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ და გაქირავება ხდება საბაზროზე დაბალ ან სიმბოლურ ფასად. (შტბერაშვილი)

ეკონომიკური კეთილდღეობის ქვეყნებში, ბაზარზე ორიენტირებული აზროვნების წყალობით წარდგენილ იქნა საკუთრების უფლება, რამაც გაზარდა ხელმისაწვდომობა საკუთარ სახლებზე. საუკეთესო მაგალითია გაერთიანებული სამეფო, სადაც 1980-იანი წლებში წარდგენილ იქნა შესყიდვის უფლება, რაც სერიოზული სტიმული გახდა სეგრეგაციის პროცესის. ზოგადად ნავარაუდებია რომ რაც უფრო მაღალია საცხოვრისის სასაქონლოდ გარდაქმნის დონე მით უფრო მაღალია სოციალურ-სივრცითი სეგრეგაცია. დაიწყო სოციალური საცხოვრისების პრივატიზაცია, რამაც ხელი შეუწყო მფლობელობის უპირატესობები ჩამოყალიბებას. იგივე მოხდა აღმოსავლეთ ევროპის

ქვეყნებში 1990-იან წლებში, როდესაც განხორციელდა მასობრივი პრივატიზაცია და მანამდე სახელმწიფოს ხელში არსებული საბინაო ფონდის 90% მოსახლეობის საკუთრებაში გადავიდა. (Tammaru, 2015)

საცხოვრებელი სეგრეგაციის ცვალებადი ბუნების ასახსნელად, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებმა გამოიყენეს ინვაზიისა და მემკვიდრეობის ბიოლოგიური ანალიზი და ყურადღება გაამახვილეს ქალაქური ცხოვრების კონცეპტუალიზაციაზე ბიოლოგიური კუთხით. მათ ქალაქის უბნები განიხილეს, როგორც „ბუნებრივი ადგილები“, ამ ადგილების სივრცითი დაყოფა და განლაგება ქალაქის ერთიან სივრცეში კი - შრომის გადანაწილების შედეგი. ასეთ ბუნებრივ ტერიტორიებს წარმოადგენს: ქალაქის ცენტრალური საქმიანი უბანი, საცხოვრებელი უბნები, საწარმოო ზონა, გეტოები, ბოჰემის უბნები და ა.შ. მათი ბუნებრიობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ეკოლოგიური ძალების პროდუქტია, რომელიც მოსახლეობას ქალაქის სივრცეში ანაწილებს. საუკეთესო ადგილებს ეუფლებიან მდიდრები, დანარჩენს სხვა ფენები ინაწილებენ შემოსავლის და სხვა სტატუსის მიხედვით. მაღალშემოსავლიან კლასს აქვს კაპიტალი და ძალაუფლება, შესაბამისად საშუალებაც შცვალოს სივრცის სტრუქტურა, დაბალშემოსავლიან კლასს კი არ აქვს ასეთი საშუალებები, თუმცა აქვს კონკრეტული ინტერესები და შეხედულებები, როგორ უნდა განვითარდეს მათი საცხოვრებელი სივრცე. ამიტომ ეს ურთიერთობა ხშირად კონფლიქტურად გამოიხატება ქალაქში („კლასობრივი კონფლიქტის თეორია“) (სულუხია, 2001)

როგორ უკვე აღვნიშნე, სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს სოციალური სტატუსი. მარქსისა და ვებერის თეორიის თანახმად, მხოლოდ ფულადი რესურსების ფლობა და მატერიალური სიმდიდრე არ განაპირობებს ინდივიდის სოციალურ სტატუსს, არამედ კონკრეტული წარმოშობა და კულტურული ატრიბუტები, როგორებიცაა: პრესტიჟი, პოლიტიკურ ძალებთან სიახლოვე და სხვა. თუ დაბალი კლასის წარმომადგენლის მდგომარეობა არ არის გამყარებული მატერიალური სიმდიდრით, დაბალი კლასის წარმომადგენლებს უჭირთ მაღალი კლასის

საზოგადოებასთან სივრცითი აღრევა. ასე რომ, სოციალური სტატუსი განისაზღვრება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებით, რომელთაგან მატერიალური სიმდიდრე მაინც დომინანტურ ფაქტორს წარმოადგენს. ამ კუთხით სოციოლოგებმა შემოიტანეს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ცნება. ეს არის მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც ხდება ერთგვარი სტატუსის მფლობელი ადამიანების თავმოყრა და სივრცითი დაჯგუფება ქალაქის კონკრეტულ უბნებში. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი იქცევა სივრცით სტატუსად, რის შედეგადაც მდიდართა უბნების წარმომადგენლები ცდილობენ თავისი სამფლობელო თუ უბანი გამიჯნონ ქალაქის სხვა ნაწილებისგან. ასეთი იზოლაციის მცდელობა ადამიანთა დასახლებების ისტორიის მთელ მანძილზე არსებობდა და იწვევა სივრცის სეგრეგაციას, რომელიც დაცვის ისეთი საშუალებებითაც კი გამოიხატება, როგორიცაა: ცოცხალი დაცვა, ღობეები და სიმბოლური ნიშნები. (სულუხია, 2001)

სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია იზრდება აღმოსავლეთ ევროპულ ქალაქებში, რის საფუძველსაც წარმოადგენს შემოსავლების უთანასწორობა და სიღარიბე, რაც უკავშირდება შრომითი ბაზრის რესტრუქტურიზაციას და ევროპული კეთილდღეობის რეჟიმების ცვალებად ბუნებას. აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციის სივრცითი გამოხატულების პროცესი მიმდინარებს საკმაოდ ნელა და თვალშისაცემი ხდება ხანგრძლივი დროის პერსპექტივაში. ასევე ნელა იცვლება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით ურბანული მოზაიკაც. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ საბინაო ფონდი არის საკმაოდ სტაბილური და მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის შედეგად წარმოქმნილი ახალი თაობა ცხოვრებას აგრძელებს იმავე უბანში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. (Grant, 2010)

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სეგრეგაცია ზოგადად არ შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ცალსახად უარყოფითი მოვლენა. ეს პრობლემა ხდება მაშინ, როდესაც სიღარიბე კონცენტრირდება კონკრეტულ უბნებში, სადაც მოსახლეობა მოწყვეტილია მეინსტრიმულ საზოგადოებას და შესაძლებლობებს. „სოციალური ქსელის თეორიის“

თანახმად, რომელიც 1970-იან წლებში განავითარეს ბარი ველმანმა და რიჩრდ სენეტმა, ინდივიდებს სურთ თავი აარიდონ ქალაქში ცხოვრების სირთულეებს და ეძებენ გარემოს, რომელშიც მათ მინიმალური წინააღმდეგობანი და სიძნელეები ელით, ანუ მიილტვიან ჰომოგენური ჯგუფებისაკენ, სადაც მათი მსგავსი ინდივიდებია თავმოყრილი (სულუხია, 2001). ლიტერატურაში ნათლად ჩანს, რომ ადამიანები მიდრეკილნი არიან საცხოვრებლად ის უბანი აირჩიონ, სადაც მაცხოვრებლებს გააჩნიათ მათი მსგავსი შემოსავალი, სოციალური სტატუსი, ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლები, ასევე განათლება და პროფესიული საქმიანობა. ანკლავებში ცხოვრება, სადაც ადამიანებს აქვთ ერთნაირი შეღავათები, საჭიროებები და ცხოვრების სტილი, სარგებლობენ მსგავსი სერვისებით, სავაჭრო, რელიგიური თუ კულტურული ობიექტებით, საკმაოდ კომფორტულია. უფრო მეტიც, ამან შესაძლოა შეამციროს კონფლიქტები და მისცეს ადამიანებს უსაფრთხოების განცდა (Maarten van Ham, 2016)

1.1 ურბანული პოლიტიკის მნიშვნელობა

ნებისმიერი ქალაქის სოციალურ-სივრცითი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ეფექტური ურბანული პოლიტიკის არსებობა, ვიდაიდან მის გარეშე განაშენიანება ქაოტურად მიმდინარეობს და ეს პირდაპირ აისახება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, მათ სივრცით განაწილებაზე და ქალაქის იერ-სახეზეც. (სულუხია, 2001)

ურბანული პოლიტიკა მოიცავს მოიცავს ისეთ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ფორმირება , მოსახლეობის საცხოვრისით უზრუნველყოფა, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ა.შ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ვერ მოხდება ცალეულად მხოლოდ მთავრობის

ხელმძღვანელობით, ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სუბიექტების და სტრუტქტურების ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა. (სულუხია, 2001)

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნე, ქალაქები, მრავალ სიკეთესთან ერთად, წარმოადგენენ პრობლემების წყაროებსაც, განსხვავებული სოციალური ელემენტების კომპლექსურ ერთობას, ცოცხალ ორგანიზმებს, ურბანულმა პოლიტიკამ კი უნდა შეძლოს, რომ ამ განსხვავებულმა ადამიანებმა თანაბარ პირობებში იცხოვრონ, არ მოხდეს რესურსების არათანაბარი გადანაწილება სოციალურ ჯგუფებზე და ექსკლუზიური ჯგუფების პრივილეგირება.

განვითარებული ქვეყნების უდიდეს ნაწილში ურბანული პოლიტიკა წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, თუმცა ზოგან მისი სრული იგნორირებაც კი ხდება. რაც შეეხება სოციალისტურ ქვეყნებს, აქ ურბანულლ პოლიტიკას, ისევე როგორც სხვას ყველაფერს, ახორციელებდა სახელმწიფო. სწორედ იგი ადგენდა სად და როდის უნდა აშენებული კონკრეტული საცხოვრისი და როგორი უნდა ყოფილიყო ამ საცხოვრისის მოსახლეობა, რამაც უფრო უარყოფითი შედეგები მოუტანა ქალაქის სოციალურ-სივრცით სტრუქტურას. (სულუხია, 2001)

ყველაზე დიდ პრობლემად პოსტ-სოციალისტური ქალაქებისათვის იქცა საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტაცია, სადაც ეკონომიკური პროცესების მთავარ წარმართველ ძალად მოგვევლინა მოთხოვნა. არსებული ურბანული პოლიტიკა იდეოლოგიური საფუძვლის გარეშე დარჩა, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული და ეკონომიკური ტრანზიციის იმ დრამატულ წლებში, რთული აღმოჩნდა ახალი პოლიტიკის შემუშავება.

თავი II. პოსტ-სოციალისტური ეპოქა საქართველოში

2.1 ეკონომიკის ტრანსფორმაცია

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოსაც მიეცა შანსი არაეფექტური გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასულიყო. ეს ტრანსფორმაცია, რა თქმა უნდა, არ იყო მარტივი. 1990-იანი წლები მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისის პერიოდი იყო საქართველოში, რასაც თან ერთვოდა ეთნიკური კონფლიქტები და სამოქალაქო დაპირისპირება. მსგავსად პოსტ სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობისა, საქართველოშიც ევოლუციური გზით იგეგმებოდა ეკონომიკის ტრანსფორმაცია, რაც საბაზრო პირობებთან თანდათან შეგუებას გულისხმობდა და რასაც ექსპერტთა აზრით, შედარებით ნაკლები რყევები უნდა გამოეწვია. თუმცა სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ინსტიტუციური ფაქტორების გავლენით, ეს პროცესი გეგმის მიხედვით არ წარიმართა და ეკონომიკა „საბაზრო შოკში“ აღმოჩნდა, რაც მაქსიმალურად სწრაფ და რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდა. ეკონომიკის ტრასნფორმაციის საწყის ეტაპზევე განისაზღვრა გარდაქმნის ორი გზა: ევოლუციური და ე.წ. „შოკური“, რაც ეფუძნებოდა ევოლუციური და რევოლუციური გარდაქმნების შესაძლებლობებს. ორივე მიმართულებას ჰქონდა ლოგიკური გამართლება: რევოლუციური გარდაქმნები საჭირო იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ფასების ლიბერალიზაციისათვის, ხოლო ევოლუციურ გარდაქმნებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრავდნენ და მისი მიზანი იყო ეფექტური რეფორმები მოეხდინა ვაჭრობის, მეწარმეობის და ასევე სოციალურ სფეროებში (Fischer, Stanley, Sahay, Ritna and Vegh, Carlos, 1996).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა, თუმცა პრაქტიკულად ყველა პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკა შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მათ შორის საქართველოსიც. საჭირო იყო დროული და ეფექტური ცვლილებების

განხორციელება, მათ შორის ყველაზე აუცილებელი იყო ეკონომიკის ლიბერალიზაცია. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ფასეების ლიბერალიზაციას, თავისუფალ საგარეო ვაჭრობას, საწარმოთა პრივატიზაციას, ფულადი მასის რეგულირებასა და საკრედიტო ინსტიტუტების რეფორმებს. ამ პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საბინაო სექტორმაც. (პაპავა, 2015)

მკაცრად კონტროლირებადი ცენტრალიზებული მეურნეობიდან ბაზრზე ორიენტირება არ ყოფილა მარტივი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა განხორციელებულიყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოსტ-სოციალისტური ქვეყნები ძირითადად ეყრდნობოდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი სწრაფი განვითარება იყო, მიუხედავად იმისა რომ ცხადი იყო, რამდენად დიდი დრო სჭირდებოდა ძირეული სტრუქტურული რეფორმების გატარებას (The economy of USSR: Summary and Recommendations).

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში საქართველოში საბინაო ბაზარი პრაქტიკულად არ არსებობდა, შეზღუდული იყო პირად საკუთრებაში არსებული ბინის გაყიდვა ან გაქირავება, რადგან საბჭოთა მოქალაქისთვის ეს არ უნდა გამხდარიყო უშრომელი შემოსავლის წყარო. ძირითადად სახელმწიფო აკონტროლებდა ბინათმშენებლობას და ბინების განაწილებასაც. (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2005)

როგორც უკვე აღვნიშნე, 1991 წლიდან საქართველოში გარდამავალი პერიოდი შოკური თერაპიით დაიწყო. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ინვესტიციები ბინათმშენებლობაში უარყოფითად ფასდებოდა, საბინაო ბაზარზე მთავარი მიმწოდებლის როლში კერძო სექტორი მოგვევლინა. (სპეკულაციური საბინაო-სამშენებლო ბიზნესი საქართველოში)

90-იანი წლების დასაწყისში, მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე დაჩქარებული ტემპით განხორციელდა სამშენებლო სექტორის და

საბინაო ფონდის პრივატიზაციის რეფორმა. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდის ფონზე ინდივიდებს თავად უნდა ეზრუნათ საბინაო პრობლემების მოგვარებაზე (პაპავა, 2015)

2.2 თბილისი, როგორც პოსტ-სოციალისტური ქალაქი

ქალაქი თბილისი 502 კვ.კმ ფართობითა და 1 108 717 (2014წლის მონაცემებთ) მოსახლეობით ყველაზე დიდი ქალაქია საქართველოში. მდინარე მტკვარი, რომელიც წარმოადგენს მთავარ საწყლოსნო არტერიას, მას ჰყოფს ორ მკვეთრად გამოყოფილ ტერიტორიულ ერთეულად: მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად.[1]

საქართველოს ურბანულ სისტემაში მკაფიოდ შეინიშნება დედაქალაქის სრული დომინირება სხვა ქალაქებზე, რაც მიუთითებს საქალაქო იერარქიის რღვევასა და მის განუვითარებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ქვეყნის უმთავრეს ქალაქს, ამის საფუძველი დიდწილად საბჭოთა პერიოდში უნდა ვეძებოთ, როცა ძირითადად ფულადი რესურსები შედარებით დიდი ქალაქებისათვის იხარჯებოდა, უფრო პატარა ქალაქებს კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. პოსტ-საბჭოთა პერიოდის დრამატულმა ცვლილებებმა კი კიდევ უფრო გააძლიერა ეს პროცესი და შდეგად თბილისი შეიძლება ითქვას რომ ქვეყნის ერთადერთ კონკურენტუნარიან ქალაქად ჩამოაყალიბა, რომელიც მოსახლეობის თვალსაზრისით შვიდჯერ აღემატება ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქს, ბათუმს. თბილისში თავმოყრილია ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული რესურსებისა და პოტენციალის უდიდესი ნაწილი. (სალუქვაძე, იოსებ)

თბილისი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ქალაქია საქართველოში. მსოფლიო ბანკის დაყოფის მიხედვით, დედაქალაქი წარმოადგენს

[1] თბილისის მერია - http://www.tbilisi.gov.ge/

„დიდი ოთხეულის“ შემადგენელ ნაწილს, რომელიც გამოირჩევა დივერსიფიცირებული ეკონომიკით, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოთი, მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი წილით. შეიძლება ითქვას, რომ თავს უყრის ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ინტელექტუალური კაპიტალის უდიდეს ნაწილს. (სალუქვაძე, იოსებ)

თბილისს ქალაქმშენებლობის ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა და თითოეულ ამ ეტაპს მისთვის დამახასიათებელი ტემპები და ნიშნები გააჩნდა.

ქალაქის ინტენსიური განაშენიანება და ტერიტორიული ზრდა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, 1921 წლიდან, რაც მიზნად ისახავდა ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას. ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ცვლილება განიცადა ბინათმშენებლობის მასშტაბებმა და ხასიათმა, დაიწყო საგარეუბნო ზონების აქტიური ათვისება, ახალი საცხოვრებელი ბლოკებისა და უბნების მშენებლობა მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად.

ქალაქი გაფართოვდა ასევე მის გარშემო არსებული დაბებისა და სასოფლო დასახლებების შემოერთების და ათვისების ხარჯზე. განაშენიანებას ძირითადად ჰქონდა გრძივი მიმართულება და მიუყვებოდა მდინარე მტკვირს სანაპიროებს. აღსანიშნავია ისიც, ქალაქის თანამედროვე იერსახის ფორმირებაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ქალაქმშენებლობის მესამე ეტაპმა, საბჭოთა კავშირის პერიოდში, როცა თბილისი იქნა ვერტიკალური განაშენიანების პოლიგონად.

ცოტა უფრო დეტალურად ვისაუბროთ ქალაქმშენებლობითი განვითარების მესამე ეტაპზე, რომელი 1920 იან წლებში დაიწყო. ამ ეტაპზე დაიწყო დიდი საცხოვრებელი კვარტლების მშენებლობა, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და საყოფაცხოვრებო ობიექტების ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით. დაიგეგმა და განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები: განახლდა ვიწრო ქუჩები და საავტომობილო გზები, კანალიზაცია, წყალსადენი სისტემა და ა.შ. დღის წესრიგში დადგა მწვანე სივრცეების

ფართობის ზრდა ერთ სულ მოსახლეზე. ამ პერიოდის საცხოვრებლები ძირითადად 4-5 სართულიანი იყო და მოსახლეობა 3.4 – 4 ათას ადამიანს შეადგენდა. (ოქუაშვილი, 2011)

მომდევნო წლებში კი გაიზარდა საცხოვრებელი მასივების ზომა და შეიცვალა მათი ფუნქციური სტრუქტურა. იმის გამო, რომ არსებული ურბანული პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფდა საცხოვრებელი სახლების ეფექტურ განლაგებას და განიავების კარგ სისტემას, 1950-იან წლებში მოწვეულ იქნა ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო, რათა შემუშვებულიყო არსებული პრობლემების მოგვარების გზები. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა პირველი გენერალური გეგმა, სწრაფად ქალაქის განვითარების ტემპები, დაიწყო დიღომის, ავჭალა-გლდანისა და ლილოს ტერიტორების განაშენიანება და ასევე, საბურთალოს და ღრმა ღელეს ექსტენსიური ათვისება საცხოვრებლად (ამ პერიოდის ყველაზე წარმატებულ დასახლებად მიჩნეულია დიღომი, თავის საცხოვრებელი სივრცით, საავტომობილო მაგისტრალით, შიდა ეზოებითა და გამწვანებული სივრცეები). სამრეწველო საწარმოები კი ძირითადად წარმოდგენილი იყო ავჭალაში, დიდუბეში (კვებისა და მსუბუქი მრეწველობა), ნავთლუღისა და ლილოს დასახლებებში. სამრეწველო და სასაწყობე ზონის განვითარებამ განაპირობა ქალაქისაგან იზოლირებული ფონიჭალის საცხოვრებელი რაიონის ფორმირება. (ოქუაშვილი, 2011)

საბურთალოს, დიღომის, ნავთლუღის და ღრმა-ღელეს მშენებლობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, თუმცა უარყოფითი მხარეებიც აღმოაჩნდა, უმთავრესად შენობების ესთეტიური თვალსაზრისით.

1970-იან წლებში მშენებლობებმა გადაინაცვლა ცენტრიდან პერიფერიულ არელში და შეიქმნა 4 მსხვილი საცხოვრებელი რაიონი: ავჭალა, გლდანი, მუხიანი და თემქა, წარმოდგენილი ძირითადად 9-12 სართულიანი შენობებით. (ოქუაშვილი, 2011)

1980-იან წლებში პროექტის დარღვევით აშენდა ვაზისუბანი და პროექტის ძირითადი დაცვით - ვარკეთილი, სადაც გათვალისწინებული იყო რეკლრეაციული ზონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები და წარმოდგენილი იყო ძირითადად 9-12 სართულიანი საცხოვრებელი შენობები. (ოქუაშვილი, 2011)

დღესდღეობით, თბილისის ტერიტორია იყოფა 10 რაიონად, რომელიც მოიცავს შედარებით მცირე ტერიტორიულ ერთეულებს:

1. მთაწმინდის რაიონი - მთაწმინდა, სოლოლაკი, ვერა, კიკეთი, კოჯორი, წავკისი, შინდისი, ტაბახმელა.
2. ვაკის რაიონი- ვაჟა-ფშაველას კვარტლები, ნუცუბიძის მიკრორაიონები, წყნეთი.
3. საბურთალოს რაიონი - დიღომი, ვაშლიჯვარი, ვეძისი, ყაზბეგის გამზირი, გოთუას ქუჩა, საბურთალოს ქუჩა, კოსტავას, ბახტრიონის, დოლიძის, ხილიანის ქუჩები.
4. კრწანისის რაიონი- კალა, ორთაჭალა, ფონიჭალა.
5. ისნის რაიონი - ზემო ავლაბარი, მეტრომშენი, ნავთლუღი, ვაზისუბანი, მე-8 ლეგიონი.
6. სამგორის რაიონი - ვარკეთილი, მესამე მასივი, ორხევი, აეროპორტი, ლილო, ქვემო სამგრორი.
7. ჩუღურეთის რაიონი - ზემო ჩუღურეთი, ქვემო ჩუღურეთი.
8. დიდუბის რაიონი - დიდუბე, დიღმის მასივი.
9. ნაძალადევის რაიონი - ძველი ნაძალადევი, ლოტკინი, სანზონა, თემქა.
10. გლდანის რაიონი- ავჭალა, გლდანი, მუხიანი. [2]

დღეს, ტერიტორიის არარაციონალური განაწილების, მისი არასწორი ფუნქციური გამოყენების, რეკრეაციული ზონების შემცირება/განადგურების, სამშენებლოდ უპასუხისმგებლოდ გაცემული მიწების, ძველი და ახალი განაშენიანების შეუსბამობის, ისტორიულ უბნებში „წითელი ხაზების“ რღვევის ფონზე, როგორც მოსახლეობის ისე ფართობის მიხედვით გამოირჩევა სამგორის, გლდანის, ნაძალადევის რაიონები.

[2] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების - რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ,2014წ.

დიაგრამა1: თბილისის მოსახლეობის განაწილება რაიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თბილისის მოსახლეობის განაწილებას უბნების მიხედვით მნიშვნელოვნად განაპირობებს არსებული საბინაო პოლიტიკა და საცხოვრისის ბაზარი, რის მიხედვითაც ყალიბდება საცხოვრისის ფასი - ბინის ფასი გაცილები მაღალია ისეთ უბნებში, სადაც მაღალია მოთხოვნა. ყველაზე მოთხოვნადი რაიონები კი თბილისში არის ვაკე და საბურთალო, რომლის პრესტიჟულ რაიონად ჩამოყალიბება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო, რადგანაც აქ იყო თავმოყრილი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი თუ კულტურული მნიშვნელობის ობიექტების უდიდესი ნაწილი და ძირითად წარმოადგენდა ინტელიგენციის საცხოვრებელ/სამუშაო ადგილს. თუმცა დღეს, ვითარება ყველაზე რთულად სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზეა, მკაფიოდ გამოხატული ურბნაული პოლიტიკის არ არსებობამ და სიძვირის მიუხედავად, ბინებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ქაოტური მშენებლობები, მწვანე სივრცეების ხარჯზე. ასევე მოთხოვნად უბნებს წარმოადგენს ვარკეთილისა-გლდანის დასახლებები და დიდი დიღომი, სადაც მიმდინარეობს მასობრივი მშენებლობები.

თავი III. სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია თბილისში

3.1 სტატისტიკური მონაცემები და კვლევის მეთოდოლოგია

როგორც უკვე აღვნიშნე, ნაშრომის მიზანია განვსაზღვროთ ახდენს თუ არა გავლენას მოსახლეობის სივრცით განაწილებაზე ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, პროფესიული სტრუქტურა, განათლების დონე ან ფულადი შემოსავლები და რამდენად მნიშვნელოვანია ეს გავლენა.

ნაშრომი ეფუძნება 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებს, რაც წარმოადგენს ყველაზე სანდრო სტატისტიკურ მონაცემებს ქვეყნისა თუ კონკრეტული რეგიონის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური სტრუქტურის შესასწავლად. ზოგადად, პროფესია მიიჩნევა საუკეთესო მაჩვენებლად იმისათვის, რომ დადგინდეს ადამიანის პოზიცია სოციალურ სტრუქტურაში. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაყოფა პროფესიული სტრუქტურის მიხედვით ეყრდნობა ISCO-ს (International Standart Classification of Occupations) მიერ გამოყოფილ კატეგორიებს. აღნიშნული კლასიფიკაცია აჩვენებს შრომითი ბაზრის სეგმენტაციას, შემოსავლების უთანასწორობას და შესაბამისად, სოციალურ უთანასწორობასაც.

ქალაქის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციის ანალიზისათვის გამოყენებულია ISCO-ს მიერ გამოყოფილი 8 პროფესიული კატეგორია: (1) მენეჯერები, (2) პროფესიონალები, (3) ტექნიკოსები, (4) ოფისის პერსონალი, (5) ადმინისტრაციაში, სერვისებსა და გაყიდვებში მომუშავენი, (6) სამრეწველო მუშაკები, (7) მემანქანე-ოპერატორები, (8) არაკვალიფიციური მუშაკები. მეტი თვალსაჩინოებისათვის აღნიშნული 8 კატეგორია, ძირითად ფაქტორად შემოსავლის გათვალისწინებით, გავაერთიანეთ 3 უფრო დიდ ჯგუფში. სოციალურ-პროფესიული სტრუქტურის სათავეში არიან მენეჯერები და პროფესიონალები, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე მაღალ სოციალურ-

ეკონომიკურ ჯგუფს; საშუალო სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში გაერთიანებულები არიან ტექნიკოსები, ოფისის პერსონალი, ადმინისტრაციაში, სერვისებსა და გაყიდვებში მომუშავენი; და ბოლოს, ყველაზე დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს ქმნიან სამრეწველო მუშაკები, მემანქანე-ოპერატორები და არაკვალიფიციური მუშახელი.

ცხრილი1: თბილისის მოსახლეობის პროფესიული სტრუქტურა (ISCO-ს კლასიფიკაციით)

მენეჯერები	**მაღალი**
პროფესიონალები	
ტექნიკოსები	**საშუალო**
ოფისის პერსონალი	
ადმინისტრაციული პერსონალი და გაყიდვებში მომუშავენი	
სამრეწველო მუშაკები	**დაბალი**
მემანქანე ოპერატორები	
არაკვალიფიციური მუშახელი	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მნიშვნელოვანია ასევე მოსახლეობის სეგრეგაცია ეთნიკური ნიშნით, რაც ნიშნავს მათ სივრცით კონცენტრაციას ამ ფაქტორის საფუძველზე. როგორც წესი, ერთნაირი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ცდილობენ ერთმანეთთან ახლოს დასახლდნენ და შექმნან სამეზობლოები, უბნები ან გეტოებიც კი. ქალაქ თბილისში ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი ეთნიკური ჯგუფები: ქართველები, აზერბაიჯანელები, რუსები, ოსები, იეზიდები, უკრაინელები, ქისტები და ასირიელები.

იმის დასადგენად, თუ რამდენად სეგრეგირებულია მოსახლეობა, ეთნიკური ნიშნით თუ სოციალურ-პროფესიული სტატუსის მიხედვით, ნაშრომში გამოყენებულია

სეგრეგაციის კოეფიციენტი (IS)[3], რომლის რიცხვითი მნიშვნელობაც მერყეობს 0-სა და 1-ს შორის, რაც უფრო ახლოსაა მაჩვენებელი 0-თან, მით უფრო უმნიშვნელოა სეგრეგაციის ზომა.

ფართოდ გავრცელებული ვარაუდით, სეგრეგაციის ნიმუშებსა და დონეებს, გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა, მნიშვნელოვნად განაპირობებს განათლების დონე, შემოსავლების უთანასწორობა (ჯინის კოეფიციენტი), საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობა, ქალაქისა და მოსახლეობის ზომა, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

3.2 კვლევისშედეგები

ქალაქ თბილისის მოსახლეობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით შეადგენს 1 108 717 ადამიანს, რაც 2.5%-ით მეტია 2002 აღწერის მონაცემთან შდარებით და საქართველოს მთლიანი მოსახლეობის თითქმის 30%-ს შადგენს (აღსანიშნავია, რომ ზრდა ძირითადად განპირობებულია გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოერთებით ხარჯზე).[4]

საბჭოთა კავშირის დაშლის, სტრუქტურული პრობლემებისა და „შოკური თერაპიის“ შედეგად რომელსაც ადგილი ჰქონდა 1991 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურამ. გამოიკვეთა ორი მნისვნელოვანი ტრენდი:

1.გაიზარდა უმუშვრობის დონე- თუ 1990 წლამდე უმუშევრობა არ აღემატებოდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 0,45 %-ს, 1992წელს მოიცვა მოსახლეობის 45%.

[3] IS= $\sum_{i=1}^{n}[(xi/X) - (ti - xi)/(T - X)]$ სადაც xi არის კონკრეტული კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობა რაიონში, X - კატეგორიის მთლიანი მოსახლეობა, ti- მოსახლეობის საერთო რაოდენობა რაიონში, T - ქალაქის მოსახლეობა მთლიანად, n - ქალაქის რაიონების რაოდენობა.

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

აღმკვეთი ღონისძიებების შემუშვებისა და გატარების შედეგად აღნიშნული მონაცემი სამი წლის შთავზე 20%-მდე შე მცირდა. მომდევნო 15 წლის განმავლობაში კი უმუშევრობის დონემ 11.5% შეადგინა;

2. შეიცვალა დასაქმების სტრუქტურა - თვითდასაქმებულთა რიცხოვნობამ გადააჭარბა დაქირავებულთა რაოდენობას, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური გარდაქმნებითა და ვალუტის ცვლილებით. (ა. სილაგაძე, 2011)

სეგრეგაციის კოეფიციენტი გამოხატავს მოსახლეობის გამოყოფის ზოგად ტენდენციებს პროფესიული ნიშნის მიხედვით ქალაქის მასშტაბით. როგორც ცხრილიდანაც ჩანს, თბილისში სოციალურ-პროფესიული სეგრაგაციის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება ყველაზე დაბალ (სამრეწველო მუშაკები, ოპერატორები, არაკვალიფიცური მუშახელი) და ყველაზე მაღალ (მენეჯერები, კანონმდებლები და მაღალი რანგის ოფიციალური პირები) ჯგუფებში.

ცხრილი2. სეგრეგაციის კოეფიციენტი სოციალურ-პროფესიული ჯგუფების მიხედვით

სოციალურ-პროფესიული ჯგუფები	**სეგრეეგაციის კოეფიციენტი, 2014 წ.**
მენეჯერები, კანონმდებლები და მაღალი რანგის ოფიციალური პირები	0,43
პროფესიონალები	0,24
ტექნიკოსები	0,13
ოფისის პერსონალი	0,2
გამყიდველები	0,4
სამრეწველო მუშაკები	0,59
ოპერატორები	0,43
არაკვალიფიცური მუშახელი	0,55

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა2. სოციალურ-პროფესიული სეგრეგაციის კოეფიციენტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თბილისი ყოველთვის წარმოადგენდა ეთნიკურად მრავალფეროვან ქალაქს. მოსახლეობის 89.9%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. შემდეგ მოდიან სომხები - 4.8%, აზრბაიჯანელები - 1.4%, რუსები - 1.2%. დანარჩენ მოსახლეობას კი შეადგენენ იეზიდები, უკრაინელები, ქისტები და ასირიელები.

ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობა თბილისში არიან სწორედ სომხები, რომლებიც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ძირითადად სახლობენ ისანი-სამგორის რაიონში, განსაკუთრებით კი ისტორიულ უბან ავლაბარში (სომხური ინტელიგენციის „ცენტრი“ საქართველოში). თბილისში მცხოვრები სომხების 62% სწორედ ისანი-სამგორის ტერიტორიაზე ცხოვრობს და რაიონის მოსახლების მინიმუმ 10%-ს შადგენენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხების სეგრეგაციის კოეფიციენტი სიდიდით მეორეა, ანუ გამოყოფის საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდებიან.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისში 15187 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რომელთა 82.9% დასახლებულია კრწანისი, სამგორის, საბურთალოს და ისნის რაიონებში (ადგილობრივი მოსახლეობის 2.7%). სეგრეგაციის დონე ყველაზე მაღალი სწორედ ეთნიკურ აზერბაიჯანელებში აღინიშნება - 84%.

სომხებისა და აზრბაიჯანელების შემდეგ, ყველაზე დიდ ეთნიკურ უმცირესობას რუსები (1.2%) წარმოადგენენ, რომელთა 42%-იც დასახლებულია ისანი-სამგორის ტერიტორიაზე და შეიძლება ითქვას რომ სეგრეგაციის საშუალოზე დაბალი დონე ახასიათებთ.

დანარჩენი ეთნიკური უმცირესობების (უკრაინელები, ოსები, ქისტები, ბერძნები, იეზიდები, ასირიელები) წილი თბილისის მთლიან მოსახლეობაში თითქმის უმნიშვნელოა და მთლიანი მოსახლეობის 2.7%-ს არ აღემატება.

ცხრილი3. ეთნიკური ჯგუფების სეგრეგაციის კოეფიციენტი

ეთნიკური ჯგუფები	**სეგრეგაციის კოეფიციენტი, 2014წელი**
ქართველები	0,50
აზერბაიჯანელები	0,84
სომხები	0,75
რუსები	0,35
ოსები	0,54
იეზიდები	0,2
უკრაინელები	0,11
ქისტები	0,27
ასირიელები	0.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ლიტერატურის მიმოხილვის დროს აღვნიშნე, სეგრეგაციის დონეზე გავლენას ახდენს სოციალური უთანასწორობა და უმუშევრობის მაღალი დონე, რაც ასევევე წარმოადგენს სოციალისტური რეჟიმის არასასურველ მემკვიდრეობას. 2014 წელს დედაქალაქში უმუშევრობის დონემ 16.3% შეადგინა, რაც იმის გათვალისწინებით რომ აქ თავმოყრილია ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 1/3 და შრომისუნარიანი მოსახლეობის 36%-ზე მეტი, საკმაოდ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

რაც შეეხება ჯინის კოეფიციენტს, რომლის საშუალებითაც იზომება სოციალური უთანასწორობის დონე, ანუ მთლიანი შემოსავლების გადანაწილება მოსახლეობის ჯგუფებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მაღალია პოსტ-საბჭოთა სივრცეში სწორედ თბილისში აღინიშნება და უსწრებს მხოლოდ რუსეთს (2006-2014 წლებში არსებული კლების მიუხედავად). შედარებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი სომხეთში შეადგენს - 31.5, აზებაიჯანში კი 33.7-ს.

დიაგრამა3: ჯინის კოეფიციენტი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება განათლების დონეს, თბილისის მოსახლეობის 44.5%-ს გააჩნია უმაღლესი განათლება, 14.3%-ს პროფესიული, ხოლო 26.8%-ს საშუალო განათლება. რაიოენბის სურათი კი ეს სურათი ასე გამოიყურება:

ცხრილი4: თბილისის მოსახლეობა რაიონებისა განათლებას მიღწეული დონის მიხედვით (10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა)

რაიონი	**განათლების მქონე 10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა**	**საშუალო განათლება**	**%**	**პროფესიული განათლება**	**%**	**უმაღლესი განათლება**	**%**
გლდანი	151 207	45 844	30,3	26 761	17,7	55 704	36,8
დიდუბე	61 156	12 815	21	6 962	11,4	34 271	56
ვაკე	97 697	15 575	16	7 357	7,5	62 755	64,2
ისანი	107 908	33 713	31,2	18 228	16,9	38 424	35,6
კრწანისი	33 595	11 843	35,2	4 411	13,1	11374	33,9
მთაწმინდა	43 268	8 906	18	4 807	11,1	24 041	55,6
ნაძალადევი	133 267	39 047	29,3	23 091	17,3	52 792	39,6
საბურთალო	120 298	22 110	18,4	11 925	9,9	70 754	58,8
სამგორი	151 251	50 960	33,7	26 745	17,7	48 901	32,2
ჩუღურეთი	57 362	15 905	27,7	7 263	12,7	26 670	46,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილიდან ჩანს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების ყველაზე დიდი წილით ხასიათდება ვაკის, საბურთალოსა და მთაწმინდის რაიონები, სადაც მოსახლეობის 64.2%, 58.8% და 56%-ს უმაღლეს განათლებას ფლობს. ხოლო საშუალო განათლების მქონე ადამიანთა ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა კრწანისის (35.2%), სამგორისა (33.7%) და ისნის (31,2) რაიონები (აღსანიშნავია რომ ეს რაიონები ზუსტას ემთხვევა ეთნიკური აზერბაიჯანელების განსხლების ძირითად არეალებს თბილისში).

თუ დავაკვირდებით დიაგრამა4-ს და დიაგრამა5-ს, სადაც ასახულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის განაწილება თბილისში, თვალნათლივ დავინახავთ, რომ სრული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა წილი გამოკვეთილად მაღალია საბურთალოს (17%) და ვაკის (15%) რაიონებში, რაც მნიშვნელოვან კონტრასტს ქმნის კრწანისის (3%), ჩუღურეთის(6%) და მთაწმინდის(6%) რაიონებთან. ხოლო რაც შეეხება განათლების სრულ ზოგად საფეხურს, ეს მაჩვენებელი მაღალია სამგორის (20%), გლდანის (18%), ნაძალადევის (15%) და ისნის (13%) რაიონებში. რასაკვირველია აქედან ცალსახა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, თუმცა განათლების დონე, საცხოვრებელი ადგილის არჩევისას, რაღაც როლს ნამდვილად თამაშობს.

დიაგრამა4. უმაღლესი განათლების მქონე თბილისის მოსახლეობის განაწილება რაიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა5. საშუალო განათლების მქონე თბილისის მოსახლეობის განაწილება რაიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საბოლოო ჯამში, რომ შევხედოთ თბილისის მოსახლეობის ტერიტორიულ განაწლებას სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, ასე გამოიყურება:



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნათლად ჩანს რომ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური კლასის წამომადგენლები განლაგებულნი არიან ქალაქის პერიფერიულ არეალებში, როგორებიცაა გლდანის, ისანისა და სამგორის რაიონები, ასევე მთაწმინდის, ვაკისა და საბურთალოს რაიონების ნაწილებში, რომლებიც ძირითადად მოიცავს შემოერთებული საგარეუბნო ზონებს; მაღალი კლასის წარმომადგენლების საცხოვრებელ არეალებს, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოადგენს

ვაკე-საბურთალოს დიდი ნაწილი და ასევე დიდუბისა და მთაწმინდის რაიონების ტერიტორია.

დასკვნა

უკანასკნელი 30 წლის განმვალობაში მომხდარმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა სხვა აღმოსავლეთ ევროპული ქალაქების მსგავსად, თბილისშიც გაზარდა სოციალური უთანასწორობა. აშკარა გახდა განსხვავებები ცხოვრების პირობების მიხედვით სოციალურ ჯგუფებსა და საქალაქო სამეზობლოებს შორის. შეიმჩნევა ექსკლუზიურობა და უთანასწორობა ქალაქის პროფესიულ სტრუქტურაშიც, რაც თავის მხრივ გამოიხატება შემოსავლების არათანაბარ განაწილებაში და მნიშვნელოვან სხვაობაში ნახევრად კვალიფიციურ და მაღალკვალიფიციურ მუშახელს შორის. შრომის ბაზრის სტრუქტურული ცვლილებები კი გავლენას ახდენს სივრცით უთანასწორობაზეც.

მნიშვნელოვანია სოციალური კლასების სოციალურ-სივრცითი დისტრიბუცია ეთნიკური ნიშნის, განათლების დონისა და დასაქმების სტრუქტურის მიხედვით, მკვეთრად გამოხატული ურბანული პოლიტიკის არ არსებობის და ქაოტური განაშენიანების ფონზე. აღნიშნული ცვლადები განაპირობებს კულტურული და ეკონომიკური რესურსების არათანაბარ ფლობას და გავლენას ახდენს ძალაუფლებასა და შესაძლებლობებზე, ცხოვრების ხარისხზე, სოციალურ პროცესებსა და მდგომარეობაზე. მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მფლობელნი ძირითადად განლაგებულნი არიან ვაკე-საბურთალოს ჯერ კიდევ პრესტიჟულ უბნებში, ხოლო დაბალი კლასის წარმომადგენლები - გლდანის, ისანისა და სამგორისა რაიონებში და ბოლო დროს შემოერთებულ საგარეუბნო ზონებში; შერეული სამეზობლოები კი წამოადგენილია ნაძალადევის რაიონში და მთაწმინდის რაიონის ნაწილში.

როგორც მოსალოდნელი იყო, სეგრეგაციის მაღალი დონე აღინიშნა ეთნიკურ სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. თუმცა ეს არ შეიძლება საგანგაშოდ ჩაითვალოს, რადგან როგორც ამერიკელი სოციოლოგი ჰერბერტ ჰანსი აღნიშნავდა, ადამიანები უძველესი დროიდან არიან მიდრეკილნი ქალაქებში გაერთიანდნენ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან და შექმნან ტერიტორიული ერთობა სიახლოვის

პრინციპით. ეს წარმოადგენს ადაპტაციის გარკვეულ ფორმას ქალაქურ გარემოსთან შეგუებისას, რადგან ადამიანები თავიანთ მსგავსებთან უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს.

რამდენად დიდ გავლენას ახდენს განათლების დონე სოციალურ-ეკონომიკურ სეგრეგაციაზე რთული სათქმელია, თუმცა გარკვეული კავშირი რომ არსებობს ამ ორ კომპონენტს შორის, ეს ცალსახაა.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს რომ სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციას განაპირობებს შემოსავალზე დაფუძნებული საბინაო ბაზრის არსებობა და სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის მიღწევის დღიდან მეტად ეკლექტური რჩება. ქვეყანაში ვითარდება თანამედროვე საბანკო სისტემა, მომსახურების მაღალტექნოლოგიური დარგები, ოპერაციები უძრავ ქონებასთან მრეწველობის და სოფლის მეურნეობის თითქმის სრული დაკნინების ფონზე. ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურა საქართველოში ისეთივეა, როგორც პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში , რომელთაც მაღალი ტემპებით ეკონომიკური განვითარება აღარ სჭირდებათ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად, შრომის ბაზარზე შეიმჩნევა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. კადრების დეფიციტი არსებობს იმ სფეროებშიც, სადაც შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წელს ჩატარებული ბიზნეს-გარემოს კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე იგრძნობა პროფესიული კადრების სიმცირე. ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა როგორც საშუალო და მაღალი დონის პროფესიონალ მენეჯერზე, ასევე ტექნიკურ კადრებსა და კვალიფიციურ პერსონალზე (ელექტრიკოსი, შემდუღებელი, სანტექნიკოსი, მლესავი).

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლავაც ინარჩუნებს „პრესტიჟულობის“სტატუსს ვაკე-საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, რისი საფუძველიც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. იმ

პერიოდში ეს უბნები მართლაც წარმოადგენდა სასურველ საცხორვებელ ზონებს, თავისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ კულტურული ობიექტებით, ფართო ქუჩებით, მოწესრიგებული სატრანსპორტო ქსელით, კეთილმოწყობილი ბინებით და მწვანე სივრცეებით, თუმცა დღეს ნათლად ჩანს რამდენად გაუარესებულია სურათი: გაზრდილი მოთხოვნის ფონზე კვლავაც მიმდინარეობს მშენებლობები ყველა შესაძლო და შეუძლებელ ადგილზე, ძირითადად მწვანე სივრცეების სრული იგნორირების ხარჯზე და ისიც ფაქტია, რომ ამ ორი უბანში არსებული საფეხმავლო გზები, უკვე ვეღარ იტევს ავტომობილების გაზრდილ რაოდენობას და საკმაოდ ართულებს გადაადგილებას.

ქვეყნის მოსახლეობის საერთო კლების მიუხედავად, თბილისის მოსახლეობა განუხრელად იზრდება, საბოლოოდ კი ქალაქს უბრალოდ აღარ ძალუძს თანაბარი რესურსები გაიღოს ყველა მცხოვრებისათვის და უსასრულოდ განაგრძოს ზრდა. ჩემი აზრით, თბილისისათვის ყველაზე აუცილებელია მკაფიოდ გამოხატული ურბანული პოლიტიკის არსებობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება იმ პრობლემების მოგვარება, რომლის წინაშეც დღეს დგას ქალაქი, სანამ ეს პრობლემები შეუქცევად ხასიათს მიიღებს და ასევე რესურსების თანაბარი გადანაწილება სოციალურ ჯგუფებსა და სხვადასხვა სამეზობლოებს შორის.

გამოყენებული ლიერატურა

CHELCEA, S. M. (2014). Urban Geographies of Hesitant Transition: Tracing Socioeconomic Segregation in Post-Ceausescu Bucharest. *International Journal of Urban and Regional Research*, 1400-1401.

Fischer, Stanley, Sahay, Ritna and Vegh, Carlos. (1996). Stabilization and growth in transition economies: The early experience International Monetary Fund. 1-2.

Grant, U. (2010). *Spatial inequality and Urban Poverty Traps.* London: Overseas Development Institute.

Maarten van Ham, T. T. (2016). Spatial Segregation and Socio-Economic Mobility in European Cities.

Pacione, M. (2009). "ურბანული დაგეგმარება და პოლიტიკა". In M. Pacione, *ქალაქის გეოგრაფია: გლობალური პერსპექტივა* (p. 736). Routledge Paperback.

Szymon Marcińczak, T. T. (2014). Patterns of Socioeconomic Segregation in the Capital Cities of Fast-Track Reforming Postsocialist Countries. *Annals of the Association of American Geographers*, 184-185.

Tammaru, S. M. (2015). Socio-Economic Segregation in European CapitalCities: Increasing Separation between Poor and Rich. *IZA Discussion Paper No. 9603*, 2-3.

The economy of USSR: Summary and Recommendations. (n.d.). Washington: IMF, World Bank, Organization for Economic Co-operation and Development, European Bank for Reconstruction and Development.

ZOLTAN KOVACS, G. H. (2013). *Development Pathways of Large Housing Estates in Post-socialist Cities: An International Comparison.* Budapest: Routledge.

ა. სილაგაძე, გ. ქ. (2011). უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში. In *აქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა.* თბილისი: „ნეკერი“.

ოქუაშვილი, ნ. (2011). *ქ.თბილისის ქალაქმშენებლობითი განვითარება (ეტაპები, ტენდენციები, პროგნოზი).* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ.

პაპავა, ვ. (2015). *"საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები".* თბილისი: "ინტელექტი".

სალუქვაძე, იოსებ. "ურბანიზაცია და საქალაქო განსახლების სისტემა."

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. (2005). *საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ანალიზი.* თბილისი.

სპეკულაციური საბინაო-სამშენებლო ბიზნესი საქართველოში. 2016.

სულუხია, თ. (2001). *დასავლეთის ქვეყნების ურბანსოციოლოგია.* თბილისი: "მერანი".

შატბერაშვილი, ნ. (2016). *საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა.* თბილისი.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Science

Teona Maisuradze

Urban Socio-Economic and Spatial Inequalities (Case of City Tbilisi)

Human Geography

The master thesis is accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Davit Sichinava, PhD of Human Geography,

Assistant Professor

Tbilisi, 2019